საქართველო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

(ქ. ოზურგეთი კოსტავას ქ. №1 ტელ. 27-25-45) 17 ივლისი 2013 წელი

დადგენილება №17

ქალაქ ოზურგეთში არსებული 26 მაისის ქუჩის მონაკვეთისთვის იოსებ კეჭაყმაძის სახელის მინიჭების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის და 43-ე მუხლის მე-2 პუნქტის და „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, ხეივნების, შესახვევების, ჩიხების, (მოედნების, სკვერების, ბულვარებისათვის) სახელწოდების მინიჭების, ნუმერაციისა და მრავალბინიანი სახლების სადარბაზოების, ბინების ნუმერაციის წესის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 16 მაისის №18 დადგენილების შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს**:

მუხლი 1

ქალაქ ოზურგეთში არსებული 26 მაისის ქუჩის მონაკვეთს (ი. ჭავჭავაძის ქუჩის კვეთიდან კ. გამსახურდიას ქუჩის კვეთამდე) ეწოდოს იოსებ კეჭაყმაძის ქუჩა.

მუხლი 2

ქალაქ ოზურგეთში არსებული 26 მაისის ქუჩის მონაკვეთის (ი. ჭავჭავაძის ქუჩის კვეთიდან კ. გამსახურდიას ქუჩის კვეთამდე) მარჯვენა მხარეს არსებული ობიექტები დაინომროს კენტი რიცხვებით, ხოლო მარცხენა მხარეს არსებული ობიექტები დაინომროს ლუწი რიცხვებით.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ავთანდილ სურგულაძე**

Created by free version of DocuFreezer